წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N 3

ქ. წალენჯიხა 2023 წლის 24 თებერვალი

2023 წლის 24 თბერვალს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი: ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი მერაბ შონია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 15^{00}საათზე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე, საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს სახელით განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ვენჭისყრა მოხდეს მუხლობრივად, რადგან არის რიგი საკითხები რომლებსაც ფრაქცია მხარს არ უჭერს. რაზეც განმარტება გააკეთა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსმა, მაია ციმინტიამ, მან აღნიშნა, რომ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის რეგლამენტით" შემოღებულია ბიუჯეტის მიღების განსაკუთრებული წესით, რითაც შესაძლებელია მისი მუხლობრივი კენჭისყრა, თუმცა იმავე რეგლამენტით, საკრებულო სხდომაზე განხილვის დროს ცვლილების შეტანა დაუშვებელია, თუ არ დაეთანხმა მერი, ე.ი. რაც არ უნდა მუხლობრივად უყაროს კენჭი საკრებულომ ბიუჯეტის პროექტს, ხმა მისცეს მუხლების ნაწილს და ნაწილს-არა, ცვლილებას ვერ შეიტანს და წარდგენილი ცვლილებით ვერ უყრის კენჭს, თუ მერი არ დაეთანხმა და საბოლოო ჯამში, ერთიანი კენჭისყრის დროს ისევ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტისთვის მოუწევს ხმის მიცემა, ე.ი. ამ მოცემულობით მუხლობრივი კენჭისყრა აზრს კარგავს. ამ სიტუაციაში ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, შეიქმნას შემთანხმებელი ჯგუფი, ფრაქციებისა და მერიის წარმომადგენელთა წარმომადგენლობით და შეიქმნას ახალი პროექტი. მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ივანე ბურდულმა მუხლობრივად კენჭისყრა არამართებულად მიიჩნია, რადგან „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე“ პროექტი არის ერთიანობაში შექმნილი, ამიტომ საკრებულოს შეუძლია შეიმუშაოს შენიშვნები და წინადადებები, წარმოგვიდგინოს და შემდეგ მოხდეს ბიუჯეტში დაკორექტირება. ამოგლეჯილად რომელიმე საკითხის მიღება ან არ მიღება არ არის მართებული, ეს ბიუჯეტი არის მერის მიერ შემუშავებული და ასე მუხლობრივად ბიუჯეტის კენჭისყრა დაუშვებელია და იქნება ბათილი. საკრებულოს წევრის, თენგიზ ფიფიას აზრით, სჯობდა მერიას ცალკე პროექტი შეემუშავებინა საბავშვო ბაღების თანამშრომლების ხელფასების ზრდაზე, რომელსაც ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოც“ მხარს დაუჭერდა და ამ პროექტს სხვა საკითხები არ ყოფილიყო მიბმული. საკრებულოს წევრებმა ბიუჯეტის მუხლობრივ განხილვას მხარი დაუჭირეს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით, რომელიც ღია კენჭისყრით, დამტკიცდა ერთხმად (განკარგულება N 2)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი:**კორნელი სალია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **თეა სარია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **ელენე ბერაია**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ

4.,, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **ელენე ბერაია**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ

5.,, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის № 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **ელენე ბერაია**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ

6. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების

შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **მერაბ შონია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

7. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი **რომან ჯვარაცხელია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი **კორნელი სალია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

11.სხვადასხვა

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის 15 თებერვლისთვის სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის (972,500.00 ლარი) ასახვის და განაწილების, ასევე არაფინანსური აქტივებში (კლება/ზრდა) 61,320,00 ლარის ასახვის აუცილებლობით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ბიუჯეტიდან. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 61,320,00 ლარი, რომელიც განპირობებული იყო მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო პირობების შესაბამისად კომპანიის მიერ თანხის ანაზღაურებით. შესაბამისად , მუნიციპალიტეტის 2023 წლის

ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 61,3 ათასი ლარით და განისაზღვრა 19,709.8 ათასი ლარის

ოდენობით. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის 15 თებერვლისთვის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთი (972,000.00 ლარი) გადანაწილდა დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის). წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ავთანდილ გაბელიას თქმით, ჩვენს მუნიციპალიტეტს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ 285,000.00 ლარიანი ტრაქტორი შეიძინოს. რაზეც ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ ქ.წალენჯიხის და ქ.ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურებს ყოველთვიურად უწევთ ტექნიკის დაქირავება, რომელიც ერთ დაქირავებაზე ჯდება 600-900 ლარი. ამ ტექნიკის შეძენა კი წლიურ 100 000 ლარის ეკონომიას გვაძლევს.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ივანე ბურდულმა გამოთქვა აზრი, რომ მერიამ წარმოადგინა ბიუჯეტი, სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთებისგან შექმნილი. პირველი აპრილიდან 300 000 ლარი მიმართული იქნება ბაღების თანამშრომლების ხელფასების ზრდისთვის. სხვა ა(ა)იპების ხელფასების ზრდა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, ჩვენ ძალიან კარგად გვესმის და ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ამ ადამიანების მიმართ და მაქსიმუმ 6 თვეში ვგეგმავთ დაკორექტირებას სხვა ა(ა)იპების ხელფასების ზრდისთვის. მომხსენებელს კითხვა დაუსვა საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ, თუ რამდენი ლარი სჭირდებოდა ა(ა)იპების ხელფასების ზრდას ერთიანობაში? რაზეც ივანე ბუდულმა უპასუხა, რომ დაახლოებით 250 000-300 000 ათასი ლარი .

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ზუგდიდში არსებობს შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი, წალენჯიხის და სხვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა კი იძულებულია, ყოველდღე ატარონ ბავშვები ზუგდიდში შესაბამის სეანსებზე. სამწუხაროდ, ხშირად ეს შეუძლებელია მატერიალური თუ სატრანსპორტო პრობლემების გამო. ზუგდიდის სარეაბილიტაციო ცენტრში, მაღალი მიმართვიანობის გამო, შესაძლოა, რამდენიმე თვეც კი მოუწიოს ბენეფიციარს რიგში დგომა. შედეგად კი ბევრი ბავშვი რჩება სათანადო მომსახურების გარეშე. ვინაიდან, წალენჯიხის მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ახერხებს შესაბამისი მომსახურების მიღებას, მერია იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი მოსახლეობის წინაშე, განახორციელოს ეს პროექტი, რაც ითვალისწინებს 200 000 ლარით დაფინანსებას. აქვე უნდა ითქვას, რომ არასამთავრობო სექტორიც მზაობას გამოთქვამს თანამშრომლობისათვის. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა რაოდენობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შეადგენს 14-ს. ეს ახალი პროექტი, საკრებულოს წევრების მიერ ჩაითვალა ძალიან საჭიროდ და მოწონებული იქნა. საკრებულოს წევრმა, მაია მიქავამ გამოთქვა პრეტენზია იმის შესახებ, რომ სოციალურ საკითხთა კომისიის წევრია და ამ პროგრამის შესახებ გებულობს სოციალური ქსელიდან, პროგრამა კი ძალიან საინტერესო და კარგია. საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ არ ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღოს პროგრამების შემუშავებაში, რაც ძალიან ცუდია. ეს იდეა თავისთავად კარგია, თუმცა მხოლოდ იდეის დონეზეა, არ არის დაზუსტებული და გაანალიზებული.

საკრებულოს წევრმა, ომარ ქარდავამ დასვა შეკითხვა, თუ რა ხდებოდა ქ.ჯვარში კორპუსების გადახურვაზე, სადაც მძიმე მდგომარეობაა, შემოდის განცხადებები და უპასუხოდ რჩება. ამაზე მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ რეგ.ფონდის ნაშთიდან, შესაძლებელია ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება. ერთ თვეში უნდა მოხერხდეს რეგ.ფონდის ნაშთების დაანგარიშება და კორპუსების გადახურვის პრობლემა აუცილებლად მოგვარდება. საკრებულოს წევრმა, ომარ ქარდავამ ასევე ისაუბრა დასაწყობებულ მეორად სახურავებზე, რომელიც სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობაზე უნდა გაიცეს და რომლის გაცემა დღემდე ვერ ხერხდება, რაზეც მერის მოადგილე, თამარ ბელქანიამ განაცხადა, რომ დაახლოებით ერთ თვეში შემუშავდება პროგრამა და საკითხი დადებითად გადაწყდება.

მერის პირველმა მოადგილე ივანე ბურდულმა საკრებულოს წევრ ეკა სამუშიას კითხვაზე პალურის დასახლებაში არსებული სტადიონის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი.

სხდომაზე სხდომის თავმჯდომარის ინიციატივით გამოცხადდა შესვენება (20წუთი).

სხდომის განახლებისთანავე საკრებულოს წევრებმა გაიარეს ხელახალი რეგისტრაცია. ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი: ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ ხაზი გაუსვა მერიის და მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ა(ა)იპ-ის უპასუხისმგებლობას, საკრებულოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის უპასუხოდ დატოვებასთან დაკავშირებით, მაგალითად, ფრაქცია „ენმ"-ს მერიაში და ყველა ა(ა)იპში გაგზავნილი ჰქონდა წერილი, საშტატო ნუსხისა და თანამშრომელთა ანაზღაურების თაობაზე, რაც დღემდე პასუხგაუცემელია. აგრეთვე, გაურკვეველია რატომ ხდება მხოლოდ ბაღის თანამშრომლების ხელფასების ზრდა და იგეგმება თუ არა, თუ იგეგმება როდიდან სხვა ა(ა)იპ-ებზე შესაბამისი ღონისძიების განხორციელება, წარმოუდგენელია, ბიუჯეტის თანხა სპეცტექნიკის (ტრაქტორი) შესაძენად იხარჯებოდეს, როცა ხუთასამდე თანამშრომლის ინტერესი ილახება და მათი შრომის ანაზღაურება საარსებო მინიმუმს ვერ უტოლდება. მერის პირველმა მოადგილემ, ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ 2023 წლის მეორე ნახევრიდან იგეგმება ხელფასების ზრდა დანარჩენ ა(ა)იპებში, არა 10%-ით, არამედ უფრო მეტით. მერია ყოველთვის გაითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს და სწორედ ამიტომაცაა ბიუჯეტის პროექტი ამ სახით წარმოდგენილი.

საკრებულოს წევრმა, გონერ კვარაცხელიას განცხადებით, ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" ჰქონდა კონსულტაციები მერიასთან ბიუჯეტის პროექტის შექმნასთან დაკავშირებით, იყო საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესი, რომ ბიუჯეტი ასეთი სახით წარმოდგენილიყო, ამიტომ ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" მხარს უჭერს მას.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ ფიფიამ განაცხადა, რომ თუ ბიუჯეტს მუხლობრივად არ ეყრება კენჭი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" მონაწილეობას არ მიიღებს კენჭისყრაში.

ამის შემდგომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-მ დატოვა დარბაზი.

საკრებულოს წევრებმა კენჭისყრამდე გაიარეს ხელახალი რეგისტრაცია. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 14 წევრმა: ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.

კენჭისყრამდე, ფრაქცია „ენმ"-ს თავმჯდომარე მამუკა მიქავამ, ფრაქციის სახელით გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ პროექტს ხმას მისცემენ, თუ პასუხისმგებლობას აიღებს მერი, მერის მოადგილეები და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომ 2023 წლის პირველი ივნისიდან ყველა ა(ა)იპის მოემატება ხელფასი 100 ლარით და ასევე, მოხდება ქ.ჯვარის კორპუსების გადახურვა. საფინანსო-საბიუჯეტოს კომისიის თავმჯდომარემ მომხსენებელს მოსთხოვა დაკონკრეტება როდიდან მოხდება ზემოაღნიშნული ორი პრობლემის გადაწყვეტა. ივანე ბურდულის განცხადებაზე, რომ მერია იმუშავებდა ამ საკითხებზე და წლის მეორე ნახევრიდან მოხდებოდა ამ პრობლემების მოგვარება, ბაჩანა ქანთარიამ კვლავ დროის დაკონკრეტება მოითხოვა. საბოლოო ჯამში შეთანხმდნენ, რომ დაახლოებით 2 თვეში, რეგიონალური განვითარების ფონდის ნაშთის დაანგარიშების შემდგომ, მოხდება თანხების მიზნობრიობის შეცვლა და მერია

პირველ რიგში იზრუნებს ამ პრობლემების მოგვარებაზე და 1 ივნისიდან განხორციელდება

როგორც ა(ა)იპ-ს ყველა თანამშრომელზე ხელფასების 100 ლარით ზრდა, ასევე ჯვარის კორპუსების გადახურვა. ამ საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში მაქსიმალური ჩართულობა მოითხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარიამ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, დადგენილება N4.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2, მე-3 და მე-4 საკითხებთან დაკავშირებით სხდომას ინფორმაცია მიაწოდა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ-მა ელენე ბერაიამ. საქართველოს კანონში „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", განხორციელდა რიგი ცვლილებები, რაც უნდა აისახოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქმედო აქტებში, შესაბამისად ცვლილებები შედის: „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ნორმატიულ აქტებში.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები ცალ-ცალკე დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილება N5

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა ,, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილება N6.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის № 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილება N7.

მოისმინეს: 5. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა მერაბ შონიამ.

შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის N1 დადგენილებაში, რითაც შეიცვალა დაფინანსება სტაციონარული მომსახურეობის დროს პაციენტის მიერ გადასახდელ თანხასთან დაკავშირებით, ასევე ამ წესით პროგრამებში ჩართვას დაექვემდებარა წინა წლის დეკემბრის თვეში დამდგარი ფაქტიც, ასევე გამონაკლის შემთხვევაში პროგრამით სარგებლობის ვადა შეიძლება შეიცვალოს გამონაკლის შემთხვევაში სოციალური კომისიის გადაწყვეტილებით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილება N8.

მოისმინეს: 6 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელიამ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2022 წელს საქართველოს საკანონმდებლო აქტებში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომელთა ნაწილი შეეხო ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას და აუცილებელი გახდა მუნიციპალიტეტის სამოქმედო სამართლებრივი აქტების საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა. გათვალისწინებით იმისა, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" 2022 წლის 22 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტში გათვალისწინებულიქნა ცვლილებები.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N9.

მოისმინეს: 7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ. საკრებულოს აქვს ვალდებულება, რომ მიწის ნორმატიული ფასი დაადგინოს ყოველწლიურად თებერვლის თვეში. გათვალისწინებით ამისა, მომზადდა ამ ნორმატიული აქტის პროექტი. ფასი დგინდება იგივე მოცულობით, რაც 2022 წელს.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ საკითხი", დადგენილება N10.

მოისმინეს: 8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

მერიის მიერ შესწავლილ იქნა ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის" დირექტორის 2023 წლის 25 იანვრის N34-126230259 მომართვა- ქ.წალენჯიხა, ზღვაიას დასახლებაში მდებარე უძრავი ქონება უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის შესახებ. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით და გადაეცეთ უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში, ქ.წალენჯიხა, ზღვაიას დასახლებაში მდებარე უძრავი ქონება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ", განკარგულება N 1

მოისმინეს: 9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე, საკითხი წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე", განკარგულება N2.

მოისმინეს: 10 სხვადასხვა

ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარე გონერ კვარაცხელიამ გააკეთა განცხადება, რომელიც შეეხებოდა მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხს, (განცხადება თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე **კორნელი სალია**